ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3693202

ნომერი: AR1530719

თარიღი : 25.08.2017

გაცემის თარიღი : 20.11.2017

გაცნობის თარიღი : 20.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დან ნახუმ პ/ნ 01017036708
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:

- შპს "დან დიურ ჰოლდინგი" კოდი: 2038855104

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3321550
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.06.2017

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. დავით კუხალაშვილის 15/08/2017 წლის № AR1530719, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში,ქ. თბილისში (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი N 7–ში, შ.პ.ს. "დან დიურ ჰოლდინგი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14/06/2017 წლის №3321550 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი –კრწანისი), აბანოს შესახვევი N 7–ში, შ.პ.ს. "დან დიურ ჰოლდინგი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტრებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2017 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ.თბილისში,აბანოს შესახვევი N 7–ში, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2017 წლის 21 ივლისს №ბ- 19/01171871801-17 ბრძანებით მოქ. დან ნახუს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 01/11/2017 წლის N17-01173053041 წერილის და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.